მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2024 წელი, №1

მესტიაში თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო ლაბორატორიის ფილიალი ოფიციალურად გაიხსნა

მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ლაბორატორიული სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით, „მედიქალ ვორლდის ლაბორატორია“ გაფართოებას განაგრძობს.

„მესტიაში, ისევე, როგორც სხვა მაღალმთიან რეგიონში, სამედიცინო სერვისის ნაკლებობაა. ჩვენი ფილიალის გახსნის შედეგად, მოსახლეობას ყველა ტიპის ლაბორატორიული კვლევის ჩატარება ადგილზევე შეუძლია. მაღალი სიზუსტის კვლევები კი დროული დიაგნოსტირებისა და მკურნალობის სწორად დაგეგმვისთვის უმნიშვნელოვანესია“, – განაცხადა „მედიქალ ვორლდის ლაბორატორიის“ დამფუძნებელმა ლევან ქობალიამ.

კომპანიის გადაწყვეტილებით, ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით მესტიის მოსახლეობამ სპეციალური ერთდღიანი აქციით ისარგებლა. კერძოდ, შშმ და 0-დან 18 წლის ასაკის მქონე პირებმა, რამდენიმე ლაბორატორიული კვლევა უფასოდ ჩაიტარეს.

აღსანიშნავია, რომ მესტია მე–12 რეგიონული ცენტრია, სადაც „მედიქალ ვორლდის ლაბორატორიის“ ფილიალი ოფიციალურად გაიხსნა და ადგილობრივ მოსახლეობას 1 000-ზე მეტი დასახელების კვლევის ჩატარების საშუალება მიეცა. მათ შორის, გენეტიკური და ონკოლოგიური კვლევების, რისთვისაც საკვლევი ნიმუშები თურქეთისა და გერმანიის პარტნიორ ლაბორატორიებში იგზავნება.

მესტიის ფილიალის ოფიციალური გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა სექტორის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

„მედიქალ ვორლდის ლაბორატორია“ საქართველოში 2017 წელს დაფუძნდა, რომელიც უმაღლესი ხარისხის, მსოფლიოს წამყვანი ბრენდების ავტომატიზებული ანალიზატორებითა და რეაგენტებითაა აღჭურვილი. ამასთან, კომპანია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რაც უზრუნველყოფს ანალიზების სიზუსტესა და ხარისხს.

შეგახსენებთ, „მედიქალ ვორლდის ლაბორატორია“ „მედიქალ ვორლდის“ ჰოლდინგში შემავალი კომპანიაა, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე 2003 წლიდან ოპერირებს. ასევე ჰოლდინგის შვილობილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების კომპანია „მედ–11“ და კომპანია „მედიქალ ვორლდ სპა & ველნესი“, რომელიც ქვეყანაში მაღალი ხარისხის სპა და ველნეს აღჭურვილობის იმპორტს ახორციელებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის წარმატებები

მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გვსურს გესაუბროთ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, აპარატის წევრების საქმიანობის და მათი ფუნქციების შესახებ.

მოგეხსენებათ, რომ საკრებულოს აპარატი იქმნება საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით.

აპარატი უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების და საკრებულოს თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას და დახმარებას უწევს საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მოქალაქეთა ურთიერთობას საკრებულოსთან და საკრებულოს თანამდებობის პირებთან.

უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მომზადებას და გამოქვეყნებას, როგორც საკრებულოს ფეისბუს გვერდზე, ასევე ადგილობრივ გაზეთში „ლილე“ და ოფიციალურ ვებ. გვერდზე www.mestia.gov.ge

საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 12 ადამიანი.

მანონი რატიანი
იამზე ჯაფარიძე
ირმა ჯაჭვლიანი
შორენა გვარლიანი
სოფო ანსიანი
(თავმჯდომარის თანაშემწე)
ნინო ნაკანი
გვანცა ფალიანი
მზია ნიგურიანი
ნელი ფარჯიანი
ლევან უდესიანი
გიორგი ჩართოლანი
ლაშა ჯაფარიძე.

საკრებულოს აპარატის უფროსი გახლავთ მანონი რატიანი.

საკრებულოს აპარატი დახმარებას უწევს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სამუშაო გეგმების პროექტების, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომაზე განსახილველი საკითხების და ამ საკითხებთან დაკავშირებული მასალების მომზადებაში.

ორგანიზებას უწევს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების, აგრეთვე საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან.

უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფების სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვას, სხდომის ოქმების წარმოებას, სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაციას, სხდომებზე წესრიგის დაცვის ორგანიზებას, კენჭისყრისას ხმების დათვლას.

ორგანიზებას უწევს საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რეგისტრაციას, მათ აღრიცხვას, სისტემატიზაციას და დადგენილი წესით გამოქვეყნებას.

უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობას, საკრებულოს თანამდებობის პირებთან და საკრებულოს წევრებთან მოქალაქეთა მიღების ორგანიზებას, შესაბამისი მასალების მომზადებას, დავალებათა აღრიცხვას და კონტროლს მათ შესრულებაზე.

აპარატის განყოფილებებია:

ა) საოქმო განყოფილება (შორენა გვარლიანი)

ბ) პრესცენტრის განყოფილება (ირმა ჯაჭვლიანი)

გ) საორგანიზაციო განყოფილება (იამზე ჯაფარიძე)

საკრებულოს აპარატის წევრებისა და უფროსის გონიერების, პროფესიონალიზმის და პასუხისმგებლობის შედეგია მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით განსაზღვრული ანგარიშის გამოქვეყნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს გვერდზე: www.mestia.gov.ge

უამრავ წერილზე გაცემული პასუხები კანონით გათვალისწინებულ ვადაში, ასევე, საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტებს შორის ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით პირველ ხუთეულში ყოფნა, გაზეთის „ლილე“ დროული მომზადება, მაქსიმალურად თავაზიანი დამოკიდებულება მოქალაქეებთან ურთიერთობაში, საჯარო ინფორმაციის გაცემის, პროაქტიული გამოქვეყნებისა და გამჭვირვალობის კუთხით ქვეყნის მასშტაბით მოწინავე პოზიციაზე ყოფნა.

დღეს ჩვენს ქვეყანას სასიცოცხლოდ ესაჭიროება საჯარო მოხელეები, რომლებიც პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას.

წარმატებები ვუსურვოთ მათ, ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და კულტურის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა და სამომავლო გეგმები

ჩვენი გაზეთის საშუალებით, ინფორმირებულობის მიზნით, მკითხველს ხშირად ვუამბობთ ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა სამსახურის საქმიანობისა და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

ამ ეტაპზე, ინტერვიუ გვქონდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთან სოციალურ და კულტურის საკითხებში, ბატონ ლევან კიკვიძესთან.

ინტერვიუ მოიცავდა კითხვებს ზოგადად საჯარო მოხელის ვალდებულების, ერთერთი წარმატებული სამსახურის – სოციალური და კულტურის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ასევე, კითხვა დაისვა თუ რა სიტყვებით მიმართავდა ის მოქალაქეებს.

გთავაზობთ ლევან კიკვიძის პასუხებს ჩვენს შეკითხვებზე და ულევ წარმატებებს ვუსურვებთ მას.

„ჩემთვის საჯარო მოსამსახურე არის ადამიანი, რომლის პროფესიონალიზმზე დამოკიდებულია ის სტრატეგიები, განვითარების ხედვები და ნაბიჯები, რომელსაც ჩვენ ქვეყნის და ზოგადად ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ვდგამთ.

ნამდვილი საჯარო მოსამსახურე თანამშრომლებთან და მოქალაქეებთან უნდა ურთიერთობდეს იმ ეთიკური ნორმის ფარგლებში, რომელსაც ერთი მხრივ ითხოვს ადამიანური მორალი, ხოლო მეორე მხრივ კანონმდებლობა.

შესაბამისად უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერების, სამართლიანობის და მოქალაქის ინტერესების დაცვის პრინციპით. არ ვიცი რამდენად ვარ ასეთი საჯარო მოსამსახურე, როგორიც აღვნიშნე საუბრისას, თუმცა კი ვცდილობ მაქსიმალურად სწორედ ასეთი ვიყო.

2. დასაწყისისთვის შევეხები სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს, სადაც აღსანიშნავია რომ 2023 წელს მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო ჯამში 4 სოციალური პროგრამისა და 26 ქვეპროგრამის განხორციელება, რომელიც მოიცავდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებს. პროგრამები ითვალიწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ და სსმ საჭიროების მქონე პირების, მარჩენალდაკარგული ოჯახების, დიალიზით მოსარგებლე და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების ონკოლოგიური და ფსიქიური პრობლემების მქონე პირების, უსახლკაროთა და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას, როგორც სერვისის მიწოდების, ასევე ფულადი დახმარების გაცემის გზით.

წლის განმავლობაში შემუშავებულ იქნა 2 ახალი სოციალური პროგრამა, რომლებიც მოიცავს სიღატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ქვეპროგრამას, ძალადობის მხვერლის სტატუსის მქონე პირების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას და მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესს.

რაც შეეხება კულტურის სამსახურს, მთელი წლის მანძილზე სამსახური გამოირჩეოდა სხვადასხვა აქტივობებით, რომელთა შორის გამოვყოფდით წლების შემდეგ „თბილისობაზე“ მუნიციპალიტეტის ჩართულობას.

ასევე ისეთ ღონისძიებებს ჩვენი სამსახურისა და ჩვენივე მუნიციპალიტეტის ააიპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრის“ ჩართულობით განხორციელებულს, როგორიცაა ტრადიციად ქცეული „სვანეთობის“ დღესასწაული.

„მთის დღეებს“, რომლის ფარგლებში, პირველად სვანეთის ისტორიის მანძილზე, გვესტუმრნენ ლეგენდარული სუხიშვილები.

საინტერესოა და ცალკე გამოყოფასა და აღნიშვნას საჭიროებს ტრადიციად დამკვიდრებული „ხალდეობა“, რამაც უკუმიგრაციას შეუწყო ხელი. ისტორიულ სოფელში სეზონურად რამოდენიმე ოჯახი ბრუნდება და ცდილობს პირვანდელი სახე დაუბრუნოს მათი წინაპრების ნასახლარს.

ასევე მინდა აღვნიშნო ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიც იყო თავისუფალი სვანის ბესარიონ ნიჟარაძის 170-ე წლის საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს პროფესორებმა, სასულიერო პირებმა, ვიცე პრემიერმა, თეა წულუკიანმა, საქართველოს პარლამენტის წევრებმა და განათლების მინისტრის მოადგილემ.

მინდა სიამაყით აღვნიშნო ის ტრადიცია, რაც 2013 წლიდან ჩვენი გუნდის იდეის საფუძველზე და მუნიციპალიტეტში საკრებულოს თანადგომით იღებს სათავეს. ეს გახლავთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირველ კურსელთა თანადაფინანსების პროგრამა, რის ფარგლებშიც ამ დრომდე დაფინანსდა უამრავი სტუდენტი, ასევე ვაგრძელებთ ხანდაზმულ, 90 წელს გადაცილებულთა საახალწლო მილოცვის ტრადიციას, სადაც ჩვენი წარმომადგენლები და პირადად მეც ვმონაწილეობ. მივდივართ და პირადად ვულოცავთ შობა ახალ წელს.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით იქნა გამოცემული წიგნი სახელწოდებით „დადიილ,“ რომელიც მინზობრივად იქნება მიმართული იმ მომხმარებლებისთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია აღნიშნული ტიპის ლიტერატურით სარგებლობა, კერძოდ აღნიშნული გამოცემა ახალ თაობაში ხელს შეუწობს სვანური ენის შესახებ ცნობადობის გაზრდასა და სვანური ენის მნიშვნელობის გაცნობიერებას.

ვინაიდან, არათუ მესტიის მუნიციპალიტეტს, სვანეთის რეგიონს არ გააჩნია იმაზე დიადი კერა კულტურის, უძველესი ცივილიზაციისა თუ განათლებისა, როგორიც ჩვენი სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი გახლავთ, ხიდი წარსულსა და მომავალს შორის, ამიტომ ჩვენ აქტიურ კოორდინირებულ თანამშრომლობას ვაწარმოებთ მუზეუმთან, კოლაბორაცია გამოიხატება როგორც სამეცნიერო კონფერენციების, საერთაშორისო კონგრესებისა თუ ფორუმების მხარდაჭერით/ჩართულობით, ასევე, ვცდილობთ ჩვენი კულტურული ღონისძიებების აქტივობათა ნაწილის ეპიცენტრად ვაქციოთ თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი სვანეთის მუზეუმი.

3. სამომავლო გეგმა:

მიუხედავად მინიციპალიტეტის ბიუჯეტის სიმწირისა, მაქსიმალურად ვცდილობთ განვახორციელოთ სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული პროგრამები, რომელიც ჩვენი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას შეძლებისდაგვარად აუმჯობებსებს და ასევე კულტურული ღონისძიებები, რომელიც ჩვენი მოსახლეობის სულიერ თუ კულტურულ განვითარებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს.

მიმდინარე წელს დაგეგმილია:

სოციალური სამსახური – ბოლო წლების ანალიზმა გამოავლინა, რომ მოსახლეობას გაეზარდა ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები, აქედან გამომდინარე შევიმუშავეთ სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების დაფინანსებაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამები.

შესაბამისად მიმდინარე წელს დამტკიცებულია ჯამში 4 პროგრამა და 26 ქვეპროგრამა, რითაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება კულტურის სფეროს, დაგეგმილია და გრძელდება მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები „პირველკურსელთა თანადაფინანსების პროგრამა“, დასრულდება არქეოლოგიური ექსპედიცია (სვანეთის მასშტაბით ხორციელდება სასწავლო– სამეცნიერო ექსპედიციები, რის შედეგადაც ვლინდება მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები, რომელსაც ახორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიცია, პროფესორ ზვიად კვიციანის ხელმძღვანელობით დასაბეჭდად გამზადებულია ერთეულის სახელის),

გრძელდება ასევე ეტალონის პროგრამა. საქართველოს მასშტაბით ყველაზე პოპულარული, ინოვაციური საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი „ეტალონი“ მე–8 წელია უწყვეტად განაგრძობს მთელი საქართველოს მასშტაბით ნიჭიერი მამულიშვილი ახალგაზრდების აღმოჩენას და წახალისებას. ასევე გაგრძელდება საგანმანათლებლო სახელმძღვანელოების შეძენა (პროექტის მიზანია სამეცნიერო ნაშრომების (წიგნი/ მონოგრაფია / საგნობრივი ენციკლოპედია) შერჩევა და მათი გამოქვეყნება, რაც არ მოიცავს სასწავლო სახელმძღვანელოებს. წიგნის გამოცემის ხელშეწყობა მესტიის ისტორიის, კულტურის, ურბანული არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მონოგრაფიების, კატალოგების, ვიზუალური მასალის, მხატვრული ტექსტის, ბიოგრაფიული ინფორმაციის და სხვა საკითხების შესახებ. აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს სასკოლო, საუნივერსიტეტო, ზოგადსაგანმანათლებლო სახელმძღვანელოებს.

პროგრამის ფარგლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში (წიგნი/ მონოგრაფია / საგნობრივი ენციკლოპედია) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ გამოიცა „მესტიის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით).

აქტუალურია ასევე სასკოლო სპორტული ოლიმპიადა (საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია ახორციელებს პროგრამას „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“). აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია საქართველოს მასშტაბით მრავალი მუნიციპალიტეტი. მუნიციპალურ დონეზე თამაშების ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა ხდება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. ოლიმპიადის თამაში შედგება 4 ეტაპისაგან: მუნიციპალური, რეგიონული, ზონალური და დასკვნითი თამაშები. აღნიშნულ აქტივობებში ყოველწლიურად იზრდება ბენეფიციართა რაოდენობა.

გრძელდება ასევე სასკოლო საგანმანათლებლო პროექტების თანადაფინანსება (მოსწავლეთა სრულფასოვანი განათლებისთვის მნიშვნელოვანია ფორმალური განათლების შესაძლებლობების გაფართოება. სკოლების ჩართვა სხვადასხვა დამატებით აქტივობებში უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს, ასევე აამაღლებს მოტივაციას).

21 მარტი, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. (მესტიის მუნიციპალიტეტის მერია დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის“ ბენეფიციარებისთვის საჩუქრების გადაცემა).

თებერვლის თვეში კვლავ გაიმართება „გემო ფესტი“ მესტიაში. (გასტრონომიული მიმართულების განვითარება და ადგილობრივი სამზარეულოს დაგემოვნების შესაძლებლობა მოგზაურებისთვის დამატებითი მამოტივირებელი ფაქტორი გახდება და რეგიონებში შიდა და საერთაშორისო მოგზაურების ნაკადები გაიზრდება).

მოზარდებისთვის სპორტულ სახეობებში ჩართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აქტიური სპორტსმენების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, საზღვრებს გარეთ ასპარეზობის შემთხვევაში მათი ფინანსური მხარდაჭერა).

4.მიმართვა მოსახლეობას:

მინდა მადლობა გადავუხადო იმ თითოეულ მოქალაქეს, რომელიც აქტიურად არის ჩართული ჩვენს მიერ ორგანიზებულ აქტივობებსა თუ ღონისძიებებში.

თუმცა მინდა აქვე აღვნიშნო ასევე გულდაწყვეტა იმისთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობა ინერტულია რიგი მოვლენებისადმი. შეიძლება ეს ყოველივე იყოს გამოწვეული იმ ყოფითი პრობლემებისაგან რაც საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა მიუხედავად ამ ყველაფრისა ვისურვებდი იმ ღონისძიებებზე თუ აქტივობებზე რომელთაც ჩვენ არც თუ ისე იშვიათად ვაკეთებთ უფრო იაქტიუროს მოსახლეობამ წარმოადგინოს უფრო მეტი ინიციატივები და მიიღოს მეტი სულიერი საზრდო რომლის შესაძლებლობისთვისაც არ ვიშურებთ ძალიხმევას და დაუთმონ ერთი დღე საკუთარ თავს და მიიღონ მეტი დადებითი ემოცია.

ახალგაზრდები მომავლიდან

„ახალგაზრდები მომავლიდან“ არის გაზეთის გვერდი, რომლის მიზანიც არის წარმატებული, მიზანდასახული და ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენა, აღიარება და ამ გზით მოტივაციის მიცემა ახალგაზრდებისათვის.

დღეს გვსურს ვისაუბროთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრზე, რომა რატიანზე, რომელიც 3 წელზე მეტია, რაც „პალიტრა მედიის“ ჟურნალისტია და მკითხველსა და მაყურებელს თავისი მრავალმხრივობით უკვე დაამახსოვრა თავი.

„პალიტრანიუსის“ საინფორმაციო გამოშვებისა და დილის გადაცემის წამყვანი და, ამავდროულად, სპორტული მიმართულების ჟურნალისტი რომა რატიანი თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდების, პროფესიის მიღმა ცხოვრებისა და მოჭიდავის 8-წლიანი კარიერის შესახებ გვიამბობს და აღნიშნავს, რომ 27 წლის ასაკში სხვადასხვა მიმართულებით საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა და ახლა სწორედ იმ გზაზე დგას, რომელიც ყოველთვის სურდა.

• რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჟურნალისტის კარიერამდე პროფესიონალი სპორტსმენი, კერძოდ, ძიუდოისტი იყავით და საკმაოდ წარმატებულიც. საინტერესოა, რატომ გადაწყვიტეთ ბედი ახალ პროფესიაში გეცადათ?

8 წლის განმავლობაში ძიუდოს მივყვებოდი პროფესიონალურ დონეზე, თუმცა შემდეგ ჩემი გეგმები შეიცვალა, გადავწყვიტე, მეტი ყურადღება დამეთმო სწავლისთვის და ახალი პროფესია შემეძინა. სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე, რაც ვფიქრობ, დღეს ჟურნალისტის პროფესიაში ძალიან მეხმარება, შემდეგ კი მედიის კვლევების მაგისტრი გავხდი.

ხშირად მეკითხებიან, რამდენად კმაყოფილი ვარ მიღებული გადაწყვეტილებით და რა იქნებოდა დღეს, სპორტსმენის კარიერა რომ გამეგრძელებინა? შემიძლია ვთქვა, რომ დღეს, მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილი ვარ და ვემსახურები საქმეს, რომელიც ყოველთვის მაინტერესებდა, ვცდილობ განვვითარდე და ალბათ ყველა ადამიანის მსგავსად, ჩემი სურვილიცაა, მეტს მივაღწიო. ამავდროულად, ისევ ვვარჯიშობ და აქტიურად ვარ დაკავებული სამოყვარულო ალპინიზმით, ფეხბურთით...

ძალიან მიყვარს ჩემს მშობლიურ სვანეთში ჩასვლა, წელიწადში 2-3-ჯერ მაინც ვსტუმრობ ჩემს კუთხეს და თანატოლებთან ერთად მთებში ვათენებ რამდენიმე ღამეს.

• საინტერესოა, როგორ დაიწყო თქვენი და „პალიტრანიუსის“ თანამშრომლობა და ზოგადად, თქვენი ჟურნალისტური კარიერა?

„პალიტრა მედიასთან“ თანამშრომლობის დაწყებამდე მულტიმედია ჟურნალისტიკის მიმართულებით უკვე მქონდა გამოცდილება მიღებული და ამ პროფესიის სპეციფიკა ვიცოდი. თავდაპირველად, „ინტერპრესნიუსის“ ახალი ამბების რეპორტიორი გავხდი და ამ სანდო და ავტორიტეტული სააგენტოს გუნდში მუშაობა ახალი უნარების გამომუშავებაში დამეხმარა. მალე რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო და ენებისა და უცხოური ამბების მიმართ ჩემი ინტერესი მსოფლიოში მიმდინარე სიახლეების გაშუქებაში დამეხმარა. ამ კუთხითაც მოვსინჯე საკუთარი თავი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უცხოური ამბების ჟურნალისტის პოზიციას ვიკავებდი. ამავდროულად, „პალიტრანიუსზე“ ჩემს კოლეგებთან ერთად სპორტული კოლაჟების მომზადება დავიწყეთ, რაც მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. დღეს უკვე სამ მიმართულებას ვარ შეჭიდებული, რაც პროფესიულად კიდევ უფრო განვითარების საშუალებას მაძლევს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დიდი ფუფუნებაა ისეთ მედიაში მუშაობა, სადაც ჟურნალისტი გავლენებისგან აბსოლუტურად თავისუფალია და შეუძლია, ტექსტი ობიექტურად, სხვისი კარნახის გარეშე დაწეროს. ვფიქრობ, ყველა ჩემი კოლეგისთვის, ვინც „პალიტრა მედიასთან“ თანამშრომლობს, ასეთი პროფესიული თავისუფლება და ამგვარი სტანდარტით მუშაობა უმნიშვნელოვანესია.

• უკვე მესამე თვეა, ახალი ამბების სტუდიის გარდა, მაყურებელს „დილის პალიტრიდანაც“ ესალმებით. რა განცდაა, მაყურებლისთვის მთელი დღის განწყობის შექმნაზე ზრუნვა?

ჩვენი, დილის წამყვანების დღე იწყება მაშინ, როცა ქალაქს ჯერ კიდევ სძინავს და გარეთ სიბნელეა. სანამ სხვები გაიღვიძებენ და ტელეეკრანებიდან მიესალმები, უნდა იფიქრო იმაზე, თუ როგორ შეუქმნა მათ პოზიტიური განწყობა, მაშინაც კი, თუ თავად ხალისიანად არ გრძნობ თავს, როგორ მიაწოდო მათთვის საჭირო ინფორმაცია და ზოგადად, მათი დილა უკეთესი გახადო.

რა თქმა უნდა, „დილის პალიტრის“ წამყვანობა ახალი ამბებისგან მკვეთრად განსხვავდება. ის საკუთარი შეხედულებების გაზიარების, ხუმრობის, გაღიმების, თავისთავად, მაყურებლისთვის უფრო მსუბუქი თემების მიწოდების საშუალებას გაძლევს, რაც ჩემთვის საინტერესო გამოცდილებაა.

• როგორც აღნიშნეთ, სპორტულ ჟურნალისტიკას თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ცოტა ხნის წინ კოლეგასთან ერთად საკუთარი Youtube გადაცემაც დაიწყეთ და უკვე თქვენი აუდიტორიაც გყავთ. გვიამბეთ ამ სიახლეზე...

სპორტი და ზოგადად, ფეხბურთი ძალიან მიყვარს, ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი ჰობი საქმედ მექცია და დაახლოებით 5 თვის წინ მე და ჩემმა ორმა მეგობარმა სპორტული ინვენტარის ონლაინ მაღაზია – Eleven შევქმენით. პარალელურად, მიგვყავს Youtube გადაცემაც, სადაც ვიწვევთ ცნობილ ადამიანებს და ფეხბურთთან დაკავშირებით სხვადასხვა თემას განვიხილავთ. რაც ყველაზე სასიამოვნოა, ჩვენი მაყურებლისა და მსმენელისგან დადებით უკუკავშირს ვიღებთ. ჩემი სამომავლო გეგმები ამ მიმართულებით განვითარებასაც უკავშირდება.

საკმაოდ დატვირთული რეჟიმი მაქვს და დასვენებისთვის ბევრი დრო არ მრჩება, თუმცა ჩემს 3 წლის შვილთან, ცოტნესთან ურთიერთობისა და განტვირთვისთვის ყოველთვის ვიცლი. მასთან ყოფნა ახალი ენერგიით დამუხტვასა და უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლებაში მეხმარება. ჩემს ცხოვრებაში ცოტნეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ყველაფერი, რა ეტაპზეც დღეს ვარ, საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ სწორი გზით მივდივარ და ცხოვრებაში ბალანსის დაცვაც შემიძლია.

ი. წ. „პალიტრანიუსი“

ნიჭიერების ჩუმი დედოფალი

სულის სიმფონია

როცა ვწერთ და ვსაუბრობთ ხელოვანი, ნიჭიერი, დამსახურებული ადამიანების შესახებ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს უფლება გვერდი ავუაროთ ქალბატონ ლოლა გურჩიანს, რომლის შემოქმედებასაც ვიცნობთ ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან, როცა ადგილობრივ გაზეთში „ახალი სვანეთი“ იბეჭდებოდა მისი ლექსები.

ეს გახლავთ ქალბატონი, რომლისთვისაც კომფორტის ზონაა ჩრდილში ყოფნა, რომელიც არასოდეს ხმაურობს და ასე, ჩუმად აკეთებს თავის საქმეს – იკვლევს სვანურ კულტურას, ტრადიციებს, სვანურ ენას, წერს კვლევებს. .

ლოლამ ბავშვობა გაატარა ცხუმარში. მამა – ჯობე გურჩიანი იყო მეურნეობის დირექტორი, დედა – ჩათუ არღვლიანი ბიბლიოთეკის გამგე.

პატარა ლოლა გაკვეთილების შემდეგ ყოველდღე დედას აკითხავდა ბიბლიოთეკაში, სადაც გამუდმებით კითხულობდა. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი მის სიყვარულს წიგნების მიმართ. მალევე მან დაიწყო ლექსების და ჩანახატების წერა. ბიძა – გრიშა არღვლიანი იყო პირველი ადამიანი, ვინც აღმოაჩინა პატარა ლოლას ნიჭიერება და გაიყვანა დიდ გზაზე.

ოჯახი ლოლას ექიმად ამზადებდა, მაგრამ ზედმეტი ემოციურობის გამო ექიმობაზე უარი თქვა.

მეათე კლასში ყოფნისას, გადაწყვიტა უცხო ენებზე ჩაებარებინა. იფიქრა, ქართულად ისედაც კარგად ვწერ და ბარემ უცხო ენებზეც შევძლებო. ჩააბარა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გერმანული ენის სპეციალობით. მეორადი ენა-ინგლისური.

ენების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ გადაწყვიტა პროფესიულ სფეროდ თარჯიმნობა აერჩია. თარგმნა უამრავი ლექსი, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, რომ აჯობებდა თავად დაეწერა ლექსები უცხო ენაზე. დაწერა ლექსები გერმანულად, რომელიც იბეჭდებოდა სხვადასხვა გაზეთებში. შემდეგ ეს ლექსები გააგზავნა გერმანიის საელჩოში, სადაც აღფრთოვანება ვერ დაუმალავთ და ლექსების კრებულად გამოცემაზეც დათანხმებულან. გამომცემლობა ინტელექტს ხარჯთაღრიცხვაც მოუმზადებია, მაგრამ ელჩის შეცვლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ელჩს უთხოვია კრებულიდან ეროვნული გმირების შესახებ ლექსების ამოღება. ამაზე კი ლოლამ უარი განაცხადა და წიგნიც არ გამოიცა. ის დღემდე თაროზეა შემოდებული.

ლოლა თარგმნიდა ასევე სვანურ თქმულებებს, რომელსაც ბეჭდავდა გერმანულ ჟურნალებში. თარგმნა ინგლისურად ანა კალანდაძის ლექსები, რაც დაიბეჭდა ჯორჯიან ტაიმსში.

ერთხელაც, ლოლამ ინტერვიუსთვის მიაკითხა ოთარ ჭილაძეს და თან მისი ლექსებიც მიიტანა. ჭილაძემ ის მოუცლელობის გამო ვერ მიიღო, თუმცა ორ კვირაში დაურეკა და სთხოვა მობრძანდიო. ოთარმა კაბინეტში შესულ ლოლას მისი ყველა ლექსი წაუკითხა და უთხრა – მე სამასამდე „პოეტის“ ლექსი მაქვს წაკითხული, მაგრამ ისინი პოეტები არ არიან, პოეტი თქვენ ხართ და კიდევ დაწერეთ და წიგნებიც გამოეცითო.

ასე დაიბადა და გამოიცა ლოლა გურჩიანის წიგნები „ლემშვენიერა“ და „ლილაი“.

გთავაზობთ ლოლა გურჩიანის საყვარელ ლექსს „ბოლოს გიკითხე პირველმა“

შავღამეთს კარი შევხსენი, შუქი
შევწირე-მწირველმა,
ბოლო ხატებიც მოვხატე, ბოლოს
გიკითხე-პირველმა.
სიტყვა-ბილინგვა ამოვხსენ,
ნერგი-ნამყენი ძირძველა,
სიზმრისა ციხეც ავაგე, მზეს რომ
შეჰფერის – იმ ფერად,
ჩრდილიდან ამოვიყვანე რდილის
ყვავილი მზისფერა.
დარდი ავკიდე ტვირთადა, ცას რომ
მიწვდება-იმხელა,
დუმილის კლიტე დავადე –
ბაგემდუმრიამიკვდება,
ჩაბალხეთს ვეღარ ჩააღწევს-სხვა
ქარებს გაეკიდება,
დილა–ალიონს ღაწვებზე ცრემლივით
დაეკიდება,
მწუხრიჟამს მწუხრის ფერადებს
ცეცხლივით წაეკიდება.

ჩემს თავს სხვა რაღა დავმართო –
მძინავს და სიზმრებს ვაღვიძებ.
ვეღარ ავმაღლდი... დაღმართზე დღეს
საკუთარ თავს ვაცილებ.
ოჰ, იმდენს მაინც ხომ ვიზამ –
საკუთარ მტერს გავაცინებ.
თუ მაღალია ეს ციხე, დასანგრევია.
ინგრევა.
თუ ღამეა და ღამეში სანთელია და...
მიქრება

... დავჯექ – ლექსები დავლამბე,
ერთიც არ მიღირს იმ ცრემლად,
გამწყრალ ცისფერად დავქარგე – შენ
რომ გხიბლავდა,იმ ფერად.
თითს ვინ გამოჰკრავს ჩახმახზე-გულის
ფიცარი ინგრევა,
ბოლო კარებიც ჩავრაზე – ბოლოს
დაგტოვე პირველმა.

სახსოვრად დამრჩეს ნახატი იმ
გაზაფხულის-კრულისო,
შავღრუბლით მოხატულისო.



„კლდის ვეფხვი“

ძნელია, ისე იცხოვრო, არა მარტო შენი ერის, კაცობრიობის ისტორიაშიც სახელად დარჩე.

მიხეილ ბესარიონის ძე ხერგიანი – ქართველი ალპინისტი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი იყო.

ის დაიბადა მესტიაში, დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. იყო ალპინიზმში სსრკ სამგზის, კლდეზე ცოცვაში პროფკავშირების საკავშირო შეჯიბრებისა და სსრკ ჩემპიონატების შვიდგზის ჩემპიონი.

ცნობილი იყო მთაზე ასვლისა და კლდეზე ცოცვის უბადლო ოსტატობით. ძალზე პოპულარული იყო როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის მთასვლელთა შორის. იყო იშვიათი ბუნების, კეთილშობილი ადამიანი.

მთაში სამაშველო მუშაობის შედეგად ხერგიანის მიერ გადარჩენილია მრავალი ადამიანი. მას დალაშქრული აქვს კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის, ალპების ურთულესი მწვერვალები.

ინგლისში მიხეილ ხერგიანს „კლდის ვეფხვი“ უწოდეს და ეს სახელი სამუდამოდ შერჩა მას. მისი სახელი მიენიჭა მწვერვალებს კავკასიონსა და პამირ-ალაიში, თურქესტანის ქედზე, ვრაჩანის მასივის ერთ-ერთ ალპინისტურ მარშრუტს ბულგარეთში, კლდეს იაილის მასივზე ყირიმში, ახალგაზრდულ კლუბ „ბეთქილს“, საჯარო სკოლას და ერთ-ერთ ქუჩას მესტიაში,

მცირე პლანეტას ასტეროიდების რგოლში მარსი-იუპიტერის ორბიტაზე.

დაწესებულია მიხეილ ხერგიანის ყოველწლიური მემორიალი მეკლდეურობაში, მესტიაში გახსნილია მემორიალური სახლ-მუზეუმი.

დაიღუპა იტალიაში, მწვერვალ სუ-ალტოზე ასვლისას. მიხეილის მამამ შვილის ამოცნობა მხოლოდ ქამრით შეძლო. ალპინისტი კი მხოლოდ 37 წლის იყო.

მიხეილ ხერგიანის მამა ალპინისტი იყო, მან 1937 წელს უშბა დაიპყრო. მამის გარდა, ალპინისტები იყვნენ მისი ბიძა და ბიძაშვილი.

მიშა დადიოდა მთებში, ცოცავდა კლდეებზე და სამთო-სათხილამურო სპორტითაც იყო გატაცებული. შთამომავლები სახელოვნად აგრძელებენ მის გზას.

თაობები ყოველთვის დიდი პატივისცემითა და სიამაყით გაიხსენებენ მიხეილ ხერგიანს.

სულ მარტო მოწყდი სუ ალტოს ქედზე
და ჩვენში უცებ შეიძრა მთები,
როგორ ვერ შეძელ, როგორ ვერ შეძელ,
ცაში გაფრენა ღონიერ ფრთებით.
გულადო, შენგან შორს არის ახლა
სუ ალტო შენი ღამე და ელდა.
სადღაც ფუთფუთებს ჭია და მახრა
და ძიგძიგებენ უშბა და შხელდა.
ლამარიაზე ქარი გლეჯს ეკლებს,
ლასკრა ვერ ძღება ლოდების ლოკვით,
მოიკლაკნება ბილიკი შენკენ,
ვით სულ ალტოზე გამწყდარი თოკი.
ვაი, თუ დედის ნაქსოვი წინდა
ფეხზე შეგაცვდა და ვეღარ თბები.
ღამით ჯიხვები მოდიან მთიდან
და შენს თბილს სა'ფლავს ჩხვერავენ
რქებით.
მესტია გითბობს ნესტიან მიწას,
მარტო არ გტოვებს ერთგული სეტი
და საუკუნო ფარად და ფიცად
გიდგას დოშდულის ნათელი სვეტი.
ხან მეხთ გრიალი ატოკებს სერებს,
ხან მზე ბრიალით უხვ სხივებს ბარდნის
და ხერგიანებს აღარ ასვენებს
სუ ალტოს სი'სხლის აღების დარდი.
ნანას გიმღერის ენგურის წყალი,
გვალდას ნიავი შენს ბალახს ჰკოცნის
და თრთის მწვერვალთა მხარდამხარ
მდგარი
შენი საფლავის პატარა ბორცვი.

ზურაბ კუხიანიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გაზეთი „ლილე“ გამოთქვამს ღრმა მწუხარებას საქართველოს კოლორიტი ადამიანის, სახელოვანი ოჯახისა და დიდი მამულიშვილის, საქართველოს პარლამენტის მე-8 მოწვევის დეპუტატის, ქართული კინოს ლეგენდის, წარმატებული სპორტსმენის, მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონის, ცნობილი მსახიობის, რეჟისორის, იშვიათი ბუნების ადამიანის, ყველასთვის საიმედო ვაჟკაცის – სოსო ჯაჭვლიანის გარდაცვალების გამო.

სოსო ჯაჭვლიანმა დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდის ინსტიტუტი, შემდეგ კი – შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი ტელე-კინორეჟისორის სპეციალობით.

კინოში მსახიობის დებიუტი შედგა ფილმში „კავკასიური რომანსი“. აქ ნახა პირველად სოსო ჯაჭვლიანი თენგიზ აბულაძემ და 1976 წელს, ლიკა ქავჟარაძესთან ერთად მიიწვია თავის გენიალურ ფილმში „ნატვრის ხე“. გიორგი ლეონიძის მოთხრობების მიხედვით გადაღებულ ამ კინოშედევრში სოსო ჯაჭვლიანმა გედიას დაუვიწყარი სახე შექმნა.

ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ეკრანული სახეები ფილმში „ამაღლება“ და კინოსურათში „ფესვები“

მონაწილეობდა ასევე ფილმებში: „უმცროსი და“, „ელოდეთ მეკავშირეს“, „ძმა“, „სიბრძნის კარავი“, „დემეტრე II“, „სამი ალიყური“, „ჯადოსნური ღამე“, „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“, „ყვითელი ჩიტი“, „სად მიდიხარ, ჯარისკაცო“, „ექვსი თოვლიანი დღე“, „ბებია ყველასთვის“, „ოპერაცია „ვუნდერლანდი“, „მერცხლები და ბელურები“, „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“, „საშობაო საჩუქარი“,

სოსო ჯაჭვლიანის სარეჟისორო დებიუტია მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჩემი პირველი სიყვარული“ (2003).

უკვდავია მისი სახელი და მის მიერ შესრულებული როლები, რითაც საპატიო ადგილი დაიკავა ქართული კინოს ისტორიაში... მისი პიროვნული თვისებებით კი – ყველა ადამიანის გულში.

ვუსამძიმრებთ ოჯახს, სრულიად საქართველოს და პატივს მივაგებთ მის სულს ქართული კულტურისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ადამიანობისათვის, ლამაზი ოჯახისთვის, სიყვარულით სავსე გულით, ღირსეულად განვლილი ცხოვრებისათვის.



მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო გამოთქვამს ღრმა მწუხარებას საკრებულოს წევრის, ყველასთვის ძვირფასი და კეთილშობილი ქალბატონის-მარგო კვანჭიანის გარდაცვალების გამო.

იდლიანის საჯარო სკოლის პედაგოგმა, განათლებულმა, თავმდაბალმა და სოფლის მოამაგე ქალბატონმა კოლეგების, სოფლის, მუნიციპალიტეტის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მიუხედავად მძიმე დაავადებისა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შეძლო მან ღირსებისა და მხნეობის შენარჩუნება და ასეთ მდგომარეობაში მყოფიც ახერხებდა სხვების გამხნევებას.

ვწუხვართ, რომ ასე უდროოდ გვიწევს მისი გაცილება უკანასკნელ გზაზე.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

მესტიის აეროპორტის ახალი ტერმინალის პროექტირებაზე კონკურსი გამოცხადდა

მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტის ახალი ტერმინალის სრული საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით კონკურსი გამოცხადდა. საქართველოს აეროპორტების გაერთიანება იწვევს ყველა დაინტერესებულ კონკურსანტს, რომელსაც პროექტირების სფეროში ბოლო 4 წლიანი გამოცდილება აქვს. ამასთანავე, პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მომზადებული 2000 მ2 მრავალფუნქციური საზოგადოებრივი შენობის მინიმუმ ერთი არქიტექტურული საპროექტო დოკუმენტაცია.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც ქართულ ისე უცხოურ კომპანიებს. დაინტერესებულ პირებს წინადადების წარმოსადგენად 45 დღიანი ვადა ეძლევათ.

ტექნიკური დავალების თანახმად, ტერმინალის სავარაუდო საერთო ფართი უნდა შეადგენდეს 800 – 900 მ2 და გათვლილი უნდა იყოს ერთდროულად 100 მგზავრის მომსახურებაზე. ასევე დასაპროექტებელია ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაც დაახლოებით 5000 მ2 ფართზე, სადაც განთავსებული უნდა იყოს 30 ავტომანქანაზე გათვლილი პარკინგი.

კონკურსის დეტალური პირობების, აუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისთვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმების ხილვა ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯარო და ხელმისაწვდომია სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებგვერდზე. https://tenders.procurement.gov.ge/public/?go=562112&lang=ge

პროექტი უნდა მომზადდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 თვის ვადაში, რაც მოიცავს ასევე საექსპერტო დასკვნის წარდგენის ვადას.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
irmajachvliani1968@gmail.com